

ასოცირების ხელშეკრულება (გავლენა სოფლის მეურნეობაზე)

ია გაგუა

მარიამ ხმიადაშვილი

ბესიკ კუსიდი

ჯგუფის #6

*სამაგისტრო პროექტის ანგარიში წარდგენილია ილიას*

*სახელმწიფო უნივერსიტეტის*

*ბიზნესის სკოლაში*

პროექტის ხელმძღვანელი: მაია მელიქიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

## აბსტრაქტი

საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარებას ქვეყნისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან სწორედ სოფლადაა დასაქმებული ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ნახევარზე მეტი. ამიტომაც მოსახლეობის უდიდესი ნაწილისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს იმ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებასთან, მასთან დაკავშირებული რეგულაციების, კანონმდებლობის, ეკონომიკურ აქტივობებისა და ზოგადად მათი იმპორტ-ექსპროტის პროცესებთან. ამიტომაც დადებითი შედეგის მიღწევის აუცილებელი პირობაა ისეთი აგრარული პოლიტიკის შემუშავება, რომელიც კონკურენტუნარიანი წარმოებისკენ იქნება მიმართული და ამასთანავე ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის დარგში მოღვაწე სუბიექტებს გარდამავალ პერიოდში.

ამ თვალსაზრისით საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის ინტეგრაციას ევროპულ ოჯახში. საქართველოს ევროპისკენ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია ასოცირების ხელშეკრულება ევროკავშირთან.

ასოცირების ხელშეკრულებამ გარკვეული ცვლილებები უკვე მოიტანა საქართველოს ეკონომიკაში, აქედან გამომდინარე გადავწყვიტეთ, გაგვეშუქებინა აღნიშნული საკითხი.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია, მსოფლიო ეკონომიკური ინტეგრაციის თეორიები, საქართველოს ადგილი ევროპის ინტეგრაციულ პროცესში. ნაშრომში მოყვანილია, ასოცირების ხელშეკრულების მიმოხილვა, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სტრატეგია 2015-2020 წლებისთვის. ნაშრომში, წარმოჩენილია ასოცირების ხელშეკრულების გავლენა საქართველოს სოფლის მეურნეობაზე და შეფასებულია DCFTA-ის სატარიფო და არასატარიფო შეღავათებით მიღებული პირდაპირი სარგებელი.

## Abstract

The development of agriculture in Georgia is the most important for the country, Since more than half of the economically active population was employed in rural areas that is why for the largest part of the population the issues have vital importance that are related to agricultural production, the related regulations, legislation, economic activities and their imports and exports processes. A necessary condition for a positive outcome is to direct such agricultural policy that will be competitive and at the same time will promote agricultural sector entities operating in the transition period.

In this sense, for the development of the Agriculture in Georgia great importance is given to the country,s integration into the European family.

Association Agreement has already brought some changes into Georgia's economy, therefore we decided to cover above mentioned issue.

This paper discusses the theories of the World"s Economic Integration, Georgia's place in European integration process.Here is mentioned the review of Association Agreement, the strategy of the Ministry of Agriculture for 2015/2020 years. The paper represents the influence of Association Agreement on agriculture of Georgia and is estimated the direct profit obtained by tariff and non-tariff preferences of DCFTA